დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით

ცვლილება შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 11 ივლისის №175, 2020 წლის 29 სექტემბრის №268, 2020 წლის 16 ოქტომბრის 291, 2020 წლის 7 დეკემბრის №346, 2021 წლის 02 მარტის №1424, 2021 წლის 01 ივლისის №4758, 2022 წლის 29 ნოემბრის № 139462, 2023 წლის 1 მაისის №13979 ბრძანებებით

კმაყოფილების კვლევების ჩატარების

სახელმძღვანელო

დოკუმენტის შინაარსი

შესავალი 4

ევროპის უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი კვლევის ტიპები 4

1. სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა 4

2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა 5

3. ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა 5

4. მობილობით გადმოსული სტუდენტის გამოკითხვა 5

5. მობილობით გადასული სტუდენტის გამოკითხვა 5

6. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება 5

7. კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება 6

8. დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება 6

9. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება 7

10. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასება 7

11. სტუდენტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება 8

12. სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შეფასება 8

13. სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება 8

14. სტუდენტისა და გამომცდელის მიერ საგამოცდო პროცესების შეფასება 9

15. სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება 10

16. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება 11

17. ადმინისტრაციული პერსონალის მიერ საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება 11

18. ინტერვიუ/დისკუსია ფოკუს ჯგუფთან 12

კვლევის განხორციელების პროცედურები და პროცესები 12

პასუხისმგებლობები 12

კვლევის ინსტრუმენტის მომზადება, მოდიფიცირება, რევიზია 13

კვლევის ადმინისტრირება 13
შედეგების ანალიზი და ანგარიშგება..... 24
კვლევის შედეგების გავრცელება და ინტეგრაცია..... 25
დანართები..... 26

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტში ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და პროცესების მონაწილე მხარეების კმაყოფილების კვლევების განხორციელების სახელმძღვანელოს.

სახელმძღვანელოში აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში დაგეგმილი და გრძლევადიანი გეგმები ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

სახელმძღვანელოს მიზანია კვლევების განხორციელების, ანალიზის და ანგარიშგებისთვის შექმნას სტანდარტიზებული გზამკვლევი.

კვლევების ტიპები, მათი განხორციელების პერიოდულობა და მეთოდოლოგია. დანართის სახით დოკუმენტს ახლავს გამოკითხვის ინსტრუმენტები / კითხვარები, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად გამოიყენებს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შეფასებებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

კვლევების მიზანია ხელი შეუწყოს, როგორც შიდასაუნივერსიტეტო გარემოს გამოწვევების იდენტიფიცირებას, ისე, გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენას.

უნივერსიტეტის შიდა გარემოს შესწავლისთვის კვლევების სამიზნე აუდიტორიაა სტუდენტები, აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენისთვის კვლევების სამიზნე აუდიტორია კი - უნივერსიტეტის დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა.

რეგულარული კვლევების განხორციელება არის ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების, საგამოცდო პროცესების, საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამების განმახორციელებლი პერსონალის შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. კვლევების შედეგების და შეფასების მუდმივი გაანალიზება ეხმარება უნივერსიტეტს განახორციელოს მისი მოკლევადიანი

ევროპის უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი კვლევის ტიპები

1. სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა

სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა არის რეგულარული კვლევა, რომლის მიზანია სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება მათ პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: სასწავლო პროცესი, უნივერსიტეტის ინფრასტუქტურა, პროცედურები, სტუდენტური სერვისები და სხვა. თითოეული ასპექტით სტუდენტების

კმაყოფილების შეფასება დაეხმარება უნივერსიტეტს გაუმჯობესოს სერვისების ხარისხი *(იხილეთ დანართი 1).*

2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზანია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ უკუკავშირის მიღება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: მართვის სტილი, ანაზღაურება, დამატებითი ბენეფიტები, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა, ინფრასტრუქტურა, პროცედურები. უნივერსიტეტის განვითარებისთვის მნიშნველოვანია წაახალისოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებსაც წვლილი შეაქვთ საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებაში *(იხილეთ დანართი 2).*

3. ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა

ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის მიზანია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისგან უკუკავშირის მიღება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: მართვის სტილი, ანაზღაურება, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა, ინფრასტრუქტურა, პროცედურები. უნივერსიტეტის განვითარებისთვის მნიშნველოვანია სხვადასხვა ასპექტში შეაფასოს ორგანიზაციის მართვის პროცესები, მოახდინოს განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირება *(იხილეთ დანართი 3).*

4. მობილობით გადმოსული სტუდენტის გამოკითხვა

მობილობით გადმოსულ სტუდენტთა გამოკითხვის მიზანია შეისწავლოს სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის არჩევის ფაქტორები, მოლოდინები, შეაფასოს უნივერსიტეტის იმიჯი, ცნობადობა სამიზნე აუდიტორიაში *(იხილეთ დანართი 4).*

5. მობილობით გადასული სტუდენტის გამოკითხვა

მობილობით გადასულ სტუდენტთა გამოკითხვის მიზანია შეისწავლოს უნივერსიტეტიდან სტუდენტთა გადინების მიზეზები *(იხილეთ დანართი 5).*

6. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

სტუდენტების გამოკითხვა არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად იქნა მიღწეული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. გამოკითხვის ფარგლებში სტუდენტები აფასებენ მოქმედ საგანმანათლბელო პროგრამას, კერძოდ, პროგრამის შინაარსს, პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, შეფასების

მეთოდებს, პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნასა და ა.შ. კვლევის შედეგების გათვალისწინება მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განვითარებისთვის. სტუდენტის მიერ შეფასება ხორციელდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შემთხვევაშიც, მომიჯნავე ან იგივე საგანმანათლებლო პროგრამის, მაგრამ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების მიერ. გაზიარებული შეფასებები და რეკომენდაციები განიხილება და მსჯელობის შედეგად ხდება მათი გათვალისწინება პროგრამის შემუშავების ეტაპზე, პროგრამის შინაარსობრივად დახვეწის მიზნით *(იხილეთ დანართი 6).*

7. კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა არის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ერთ-ერთი საშუალება. კურსდამთავრებული აფასებს უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს და სასწავლო გეგმას. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს დააკვირდეს, თვალყური ადევნოს საკუთარი კურსდამთავრებულების პროფესიულ განვითარებას / სტატუსს, შესაბამისად, შეაფასოს საგანმანათლებო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა, მიიღოს რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების მიზნით. კურსდამთვარებულების მიერ შეფასება ხორციელდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შემთხვევაშიც, მომიჯნავე ან იგივე საგანმანათლებლო პროგრამის, მაგრამ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულების მიერ. გაზიარებული შეფასებები და რეკომენდაციები განიხილება და მსჯელობის შედეგად ხდება მათი გათვალისწინება პროგრამის შემუშავების ეტაპზე, პროგრამის შინაარსობრივად დახვეწის მიზნით. კურსდამთვარებულების მიერ დამატებით ხორციელდება პროგრამის არაპირდაპირი შეფასება, პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების, საკუთარი კომპეტენციების შეფასების შედეგად. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის მუდმივი განვითარების მიზნით *(იხილეთ დანართი 7).*

8. დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

დამსაქმებელთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მნიშვნელოვანია პროგრამის შემუშავების ანდა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით პროგრამაში ცვლილებების განხორციელების ეტაპზე, ასევე, გარკვეული პერიოდულობით, რათა დადასტუდერდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. დამსაქმებლების მიერ ხდება პროგრამის არაპირდაპირი შეფასებაც კონკრეტული პროგრამის სტუდენტების ანდა კურსდამთავრებულების მიერ პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული ცოდნისა და უნარების შეფასების გზით.

შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარება უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწაში. გაზიარებული შეფასებები და რეკომენდაციები განიხილება და მსჯელობის შედეგად ხდება მათი გათვალისწინება პროგრამის შემუშავების ან განვითრების ეტაპზე, პროგრამის შინაარსობრივად დახვეწისა და ბაზრის მოთხოვნებზე მეტად მორგების მიზნით *(იხილეთ დანართი 8).*

9. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ემსახურება პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის დახვეწას და განვითარებას. ეს არის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი შიდა მექანიზმი, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ განვითარებას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ შეფასება ხორციელდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შემთხვევაშიც, შესაბამისი პერსონალის მიერ. გაზიარებული შეფასებები და რეკომენდაციები განიხილება და მსჯელობის შედეგად ხდება მათი გათვალისწინება პროგრამის შემუშავების ეტაპზე, პროგრამის შინაარსობრივად დახვეწის მიზნით *(იხილეთ დანართი 9).*

10. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასება

სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასება არის რეგულარული კვლევა, რომლის მიზანია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასება სტუდენტების მიერ, უკუკავშირის მიღება მათ პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით კონკრეტულ სასწავლო კურსთან და ლექტორთან დაკავშირებით. კვლევის ფარგლებში სტუდენტები აფსებენ კურსის მოცულობას, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, მოსალოდნელი სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობებს, ლექტორის კომპეტენციებს და სხვა. სტუდენტების შეფასება ეხმარება უნივერსიტეტს სისტემატურად მოახდინოს სისუსტეების იდენტიფიცირება და გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების ხარისხი *(იხილეთ დანართი 10).*

11. სტუდენტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება

ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება ხორციელდება სტუდენტის მიერ ნაშრომზე მუშაობის დასრულების შემდეგ. შეფასების ფარგლებში სტუდენტების მიერ ხდება ხელმძღვანელის სტუდენტთან მუშაობის შეფასება, კერძოდ, ნაშრომის დაგეგმვის, ნაშრომის სტრუქტურის მომზადების, კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების განსაზღრის პროცესში, მასალების მოძიების საკითხში დახმარების შეფასება, ასევე ხელმძღვანელის მიერ რეგულარული და ღირებული უკუკავშირის, სასარგებლო რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გაზიარების, აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ინფრომაციის გაზიარების შეფასება. სტუდენტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება ემსახურება ხელმძღვანელთან მუშაობითა და ნაშრომზე მუშაობის პროცესში მიღებული ცოდნითა და უნარებით სტუდენტის კმაყოფილების კვლევას, ასევე, ნაშრომით განსაზღვრული შედეგების მიღწევის შეფასებას და შედეგების გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობის უზრუნველყოფას *(იხილეთ დანართი 11).*

12. სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შეფასება

პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ხორციელდება სტუდენტების მიერ კომპონენტის დასრულების შემდეგ. აღნიშნული შეფასება ემსახურება პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მიღებული ცოდნითა და უნარებით სტუდენტის კმაყოფილების კვლევას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ფასდება უნივერსიტეტისა და პრაქტიკის ობიექტის მიერ გაწეული საორგანიზაციო საკითხები, პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკის მიმდინარეობის ზედამხედველობა, მენტორის მიერ პრაქტიკის პროცესის ზედამხედველობა, მენტორისგან საჭირო ინსტრუქციების მიღება, პრაქტიკის ფარგლებში ცოდნისა და უნარების მიღების უზრუნველყოფაში მენტორის დახმარება, პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღებული ძირითადი სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, სილაბუსით განსაზღვრული საქმიანობის და დროის შესრულების უზრუნველყოფა მენტორის მიერ. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ასევე სახელდება და ფასდება პრაქტიკის სილაბუსით დადგენილი ცოდნისა და უნარების გამომუშავების ხელის შემშლელი მიზეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში *(იხილეთ დანართი 12).*

13. სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება

პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება ხორციელდება სტუდენტების მიერ კლინიკური სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ. აღნიშნული შეფასება ემსახურება კლინიკური სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნითა და უნარებით

სტუდენტის კმაყოფილების კვლევას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ფასდება პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) მიერ გაწეული საორგანიზაციო საკითხები, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის საჭირო კლინიკის აღჭურვილობა, კლინიკური სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღებული ძირითადი სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, კლინიკური სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ პაციენტზე/მანეკენზე დემონსტრირების საშუალებით სტუდენტის უზრუნველყოფა, სილაბუსით განსაზღვრული დროის შესრულების უზრუნველყოფა ლექტორის მიერ. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ასევე სახელდება და ფასდება კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსით დადგენილი ცოდნისა და უნარების გამომუშავების ხელის შემშლელი მიზეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში *(იხილეთ დანართი 13).*

14. სტუდენტისა და გამომცდელის მიერ საგამოცდო პროცესების შეფასება

სტუდენტის მიერ საგამოცდო პროცესების შეფასების მიზანია გამოავლინოს სტუდენტის საგამოცდო პროცესებით კმაყოფილება, კერძოდ, შეაფასოს: საგამოცდო საკითხების სილაბუსის შინაარსთან და სილაბუსით განსაზღვრულ საგამოცდო დავალებებთან შესაბამისობა, გამოცდების დროულად დაწყების, გამოცდების მსვლელობისას საჭირო ინსტრუქციებით სტუდენტის უზრუნველყოფის, საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებით სტუდენტთა ინფორმირებულობის საკითხები, ასევე, გამოცდის დამკვირვებელთა ორგანიზებულობა და თავაზიანობა, საგამოცდო ცხრილის გამართულობა. საგამოცდო პროცესების შეფასება დიპლომირებული მედიკოსის, სტომატოლოგიისა და ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დამატებით ითვალისწინებს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური და პრაქტიკული გამოცდების (OSCE, OSPE) შეფასებას სტუდენტებისა და გამომცდელების მიერ. სტუდენტების მიერ ფასდება გამოცდამდე მიღებული ინსტრუქციები, გამოცდებისთვის გამოყოფილი დრო, გამომცდელების ობიექტურობა, გამოცდების ორგანიზებით კმაყოფილება, გამოცდების შემდეგ მიღებული უკუკავშირი, გამოცდების მიმდინარეობით მათი ზოგადი კმაყოფლება და ა.შ. გამომცდელების მიერ კი ფასდება გამოცდების ორგანიზებით კმაყოფილება, გამოცდებისთვის დათმობილი დრო, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების შემთხვევაში შეფასების ფურცლები, დავალების შესასრულებლად სადგურებზე არსებული მატერიალური რესურსი, გამოცდების მიმდინარეობით მათი ზოგადი კმაყოფლება და ა.შ. რაც ეხმარება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეაფასოს ზოგადად საგამოცდო პროცესების მიმდინარეობა და ორგანიზება, სტუდენტებისა და გამომცდელების აღნიშული

პროცესებით კმაყოფილება, ასევე მოახდინოს შესაძლო გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და უზრუნველყოს მათი გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა *(იხილეთ დანართი 14).*

15. სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება

სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება პროგრამის მონაწილე სტუდენტების მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი ინტერესების, პროგრამაში მონაწილეობით მიღებული ცოდნისა და გამოცდილების, სხვა ტიპის დადებითი შედეგების შეფასება. გამოკითხვა ასევე ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას და საჭიროების შემთხვევაში სათანადოდ რეაგირებას შედეგების გაუმჯობესების მიზნით *(იხილეთ დანართი 15).*

16. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება მობილობის მონაწილე პერსონალის მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი ინტერესების, პროგრამაში მონაწილეობით კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების, სხვა ტიპის დადებითი შედეგების, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენების შეფასება. გამოკითხვა ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას და საჭიროების შემთხვევაში სათანადოდ რეაგირებას შედეგების გაუმჯობესების მიზნით *(იხილეთ დანართი 16)*.

17. ადმინისტრაციული პერსონალის მიერ საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება

ადმინისტრაციული პერსონალის მიერ საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება პროგრამის მონაწილე პერსონალის მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს ადმინისტრაციული პერსონალის მიერ საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი ინტერესების, პროგრამაში მონაწილეობით კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების, სხვა ტიპის დადებითი შედეგების, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სამუშაო პროცესში გამოყენების შეფასება. გამოკითხვა ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას და საჭიროების შემთხვევაში სათანდოდ რეაირებას შედეგების გაუმჯობესების მიზნით *(იხილეთ დანართი 17)*.

18. ინტერვიუ/დისკუსია ფოკუს ჯგუფთან

ფოკუს ჯგუფის მეთოდი გამოიყენება როგორც რაოდენობრივი კვლევის შემავსებელი მეთოდი. წინამდებარე კვლევების ჩატარების, მონაცემების შეჯამებისა და გაანალიზების შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს უფრო დეტალური ინფორმაციის მოძიება რაოდენობრივი თუ თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლენილ საყურადღებო საკითხებზე. აღნიშნული მიზნით ანდა ზოგადად უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და საგამოცდო პროცესების ან საგანმანათლებლო პროგრამების და ა.შ. უფრო დეტალურად, ჩაღრმავებული იტერვიუებით შეფასების მიზნით, მიზანშეწონილია ჩატარდეს ჯგუფური დისკუსია შესაბამისი რესპონდენტების/ჯგუფის წევრების მონაწილეობით. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ვინ იქნება სამიზნე ჯგუფი და რა რაოდენობის ფოკუს ჯგუფთან გაიმართება დისკუსია. შეხვედრები ამასთანავე მიზნად ისახავს გაზიარდეს უკვე მიღებული შეფასებების საფუძველზე განხორციელებული რეაგირებებისა და ცლილებების შესახებ ინფორმაცია ფოკუს ჯგუფებთან. აღნიშნული უკუკავშირი ხელს უწყობს რესპონდენტთა შეფასებების პროცესში მონაწილეობის მოტივაციის გაზრდას, მიმდინარე პროცესების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ღირებული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების მათ მიერ გაზიარებასა და ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.

კვლევის განხორციელების პროცედურები და პროცესები

პასუხისმგებლობები

წინამდებარე დოკუმენტში აღწერილი კვლევების ადმინისტრირებაზე ზედამხედველობის ფუნქცია ეკისრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. კვლევის ინსტრუმენტების/კითხვარების მოდიფიცირების, გამოკითხვის პროცესში რესპონდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფის, შეფასების შედეგების ანალიზის პროცესში გამოკითხვის შინაარსიდან გამომდინარე და შინაარსის შესაბამისად შესაძლებელია ჩაერთოს უნივერსიტეტის სხვა ადმინისტრაციული ერთეულები/პირები (მაგ.: პროგრამის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური და ა.შ.) ან საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა უნივერსიტეტის გარეთ (მაგ.: მკვლევარი კონსულტანტი, კვლევითი / საკონსულტაციო კომპანია).

კვლევის ინსტრუმენტის მომზადება, მოდიფიცირება, რევიზია

შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტები პერიოდულად საჭიროებს გადახედვასა და მოდიფიცირებას. შესაბამისად, ყოველი ახალი ეტაპის დაწყების წინ, საჭიროა მოხდეს წინა გამოცდილებაზე დაფუძნებით კითხვარების რევიზია. შესაძლებელია საჭირო გახდეს კითხვის ფორმულირება დახვეწა, ახალი შეკითხვების დამატება, შეკითხვის ამოღება და ა.შ. კითხვარის რევიზიის პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს აკადემიური პერსონალი, ვიცე-რექტორები, მოწვეული კონსულტანტები და სხვა.

კვლევის ადმინისტრირება

კვლევის ჩატარების პერიოდულობა და სიხშირე განსხვავდება კვლევის ტიპების მიხედვით. ცხრილებში მოცემულია თითოეული კვლევის ტიპის ადმინისტრირების დეტალები:

ცხრილი 1 - სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა

კვლევის ტიპი	სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა
რესპონდენტები	სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	ყოველწლიურად აკადემიური წლის ბოლოს
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული საინფორმაციო სისტემა (https://eunsis.eun.edu.ge/) / https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 1)

ცხრილი 2 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა

კვლევის ტიპი	აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა
რესპონდენტები	აკადემიური და მოწვეული პერსონალი
კვლევის ჩატარების სიხშირე	ყოველწლიურად აკადემიური წლის ბოლოს
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული საინფორმაციო სისტემა (https://eunsis.eun.edu.ge/) / https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 2)

ცხრილი 3 - ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასების და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა

კვლევის ტიპი	ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასების და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა
რესპონდენტები	ადმინისტრაციული პერსონალი
კვლევის ჩატარების სიხშირე	ყოველწლიურად აკადემიური წლის ბოლოს
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა

გამოკითხვის პლატფორმა	https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 3)

ცხრილი 4 - მობილობით გადმოსული სტუდენტის გამოკითხვა

კვლევის ტიპი	მობილობით გადმოსული სტუდენტის გამოკითხვა
რესპონდენტები	მობილობით გადმოსული სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	უნივერსიტეტის მიერ მობილობის პროცესში მონაწილეობის შესაბამისად, მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირა
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული ან ანკეტური გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 4)

ცხრილი 5 - მობილობით გადასული სტუდენტის გამოკითხვა

კვლევის ტიპი	მობილობით გადასული სტუდენტის გამოკითხვა
რესპონდენტები	მობილობით გადასული სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ორჯერ, მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ
კვლევის ანგარიშის მომზადება	პროცესის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირა
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული ან ანკეტური გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 5)

ცხრილი 6 - სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

კვლევის ტიპი	სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება
რესპონდენტები	სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	ყოველწლიურად აკადემიური წლის ბოლოს
კვლევის ანგარიშის მომზადება	შეფასების დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 6)

ცხრილი 7 - კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

კვლევის ტიპი	კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება
რესპონდენტები	უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები
კვლევის ჩატარების სიხშირე	ყოველწლიურად აკადემიური წლის ბოლოს
კვლევის ანგარიშის მომზადება	გამოკითხვის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა

პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 7)

ცხრილი 8 - დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

კვლევის ტიპი	დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება
რესპონდენტები	სფეროს შესაბამისი ორგანიზაციები
კვლევის ჩატარების სიხშირე	ყოველწლიურად აკადემიური წლის ბოლოს
კვლევის ანგარიშის მომზადება	გამოკითხვის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	პარტნიორი ორგანიზაციების სრული დაფარვა, სხვა ორგანიზაციები - სისტემური შერჩევა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 8)

ცხრილი 9 - პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

კვლევის ტიპი	პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება
რესპონდენტები	პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი
კვლევის ჩატარების სიხშირე	ყოველწლიურად აკადემიური წლის ბოლოს
კვლევის ანგარიშის მომზადება	გამოკითხვის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 9)

ცხრილი 10 - სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასება

კვლევის ტიპი	სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასება
რესპონდენტები	შესაბამისი სასწავლო კურსის სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	სემესტრში ერთხელ; დასკვნით გამოცდებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა
კვლევის ანგარიშის მომზადება	გამოკითხვის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული საინფორმაციო სისტემა (https://eunsis.eun.edu.ge/) /

	https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 10)

ცხრილი 11 - სტუდენტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება

კვლევის ტიპი	სტუდენტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება
რესპონდენტები	ნაშრომზე დარეგისტრირებული სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	სტუდენტის მიერ ნაშრომზე მუშაობის დასრულების შემდეგ
კვლევის ანგარიშის მომზადება	გამოკითხვის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული საინფორმაციო სისტემა (https://eunsis.eun.edu.ge/) / https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 11)

ცხრილი 12 - სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შეფასება

კვლევის ტიპი	სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შეფასება
რესპონდენტები	პრაქტიკის კომპონენტის მონაწილე სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის დასრულების შემდეგ
კვლევის ანგარიშის მომზადება	გამოკითხვის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა

პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული საინფორმაციო სისტემა (https://eunsis.eun.edu.ge/) / https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 12)

ცხრილი 13 - სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება

კვლევის ტიპი	სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება
რესპონდენტები	კლინიკური სასწავლო კურსების მონაწილე სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	სტუდენტის მიერ კლინიკური სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ
კვლევის ანგარიშის მომზადება	გამოკითხვის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული საინფორმაციო სისტემა (https://eunsis.eun.edu.ge/) / https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 13)

ცხრილი 14 - სტუდენტისა და გამომცდელის მიერ საგამოცდო პროცესების შეფასება

კვლევის ტიპი	სტუდენტისა და გამომცდელის მიერ საგამოცდო

	პროცესების შეფასება
რესპონდენტები	სტუდენტები/ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური და პრაქტიკული გამოცდების გამომცდელები
კვლევის ჩატარების სიხშირე	შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული საინფორმაციო სისტემა (https://eunsis.eun.edu.ge/) / https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 14)

ცხრილი 15 - სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება

კვლევის ტიპი	სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება
რესპონდენტები	საერთაშორისო აკადემიური მობილობის მონაწილე სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში ყოველი მონაწილეობის შემდეგ
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა

გამოკითხვის პლატფორმა	https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 15)

ცხრილი 16 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება

კვლევის ტიპი	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება
რესპონდენტები	საერთაშორისო აკადემიური მობილობის მონაწილე პერსონალი
კვლევის ჩატარების სიხშირე	საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში ყოველი მონაწილეობის შემდეგ
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 16)

ცხრილი 17 - ადმინისტრაციული პერსონალის მიერ საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება

კვლევის ტიპი	ადმინისტრაციული პერსონალის მიერ საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება
რესპონდენტები	საერთაშორისო მობილობის მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალი

კვლევის ჩატარების სიხშირე	საერთაშორისო მობილობის პროგრამაში ყოველი მონაწილეობის შემდეგ
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	https://surveymonkey.com
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 17)

ცხრილი 18 - ინტერვიუ/დისკუსია ფოკუს ჯგუფთან

კვლევის ტიპი	ინტერვიუ / დისკუსია ფოკუს ჯგუფთან
რესპონდენტები/ჯგუფის მონაწილეები	შეირჩევა ძირითადი კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე (ლექტორები, სტუდენტები, დამსაქმებლები და ა.შ.)
კვლევის ჩატარების სიხშირე	საჭიროებისამებრ
კვლევის ანგარიშის მომზადება	დისკუსიების გამართვიდან არაუგვიანეს ერთი თვისა
შერჩევის ტიპი	მიზნობრივი
ერთ ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა	10-15 მონაწილე
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
კვლევის ინსტრუმენტი	ჩაღრმავებული ინტერვიუ

კვლევის ჩატარების სიხშირე ან პერიოდი შესაძლებელია განისაზღვროს წინამდებარე დოკუმენტში მითითებული პერიოდულობისგან და დროისგან განსხვავებული სიხშირით და დროს საჭიროებიდან გამომდინარე.

შედეგების ანალიზი და ანგარიშგება

კვლევის შედეგების ანალიზსა და ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შედეგების ანალიზისთვის / ანგარიშის მომზადებისთვის შესაძლებელია გარე კონსულტანტ(ებ)ის მოწვევა ან/და შიდა რესურსის გამოყენება. საჭიროების შემთხვევაში, გამოკითხვის შინაარსიდან გამომდინარე, ანალიზის პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი/პირ(ებ)ი (მაგ.:პროგრამის ხელმძღვანელები, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და ა.შ.).

კვლევის ანალიზის შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შედეგები ეცნობება სტრუქტურულ ერთეულებს/ პირებს კვლევის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხების/გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით.

კვლევის შედეგებზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით შესაბამისი სტრუქტურული ერთეული/პირი ახორციელებს რეაგირებას და შედეგებს ანგარიშის სახით წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (იხ. შეფასების შედეგებზე სტრუქტურული ერთეულების რეაგირების ანგარიშის ფორმა, დანართი 18). შედეგებზე რეაგირების ანგარიშში აღწერილია არა მხოლოდ განხორციელებული ქმედებები, არამედ, სამომავლო ნაბიჯები რისი განხორციელებაც იგეგმება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. ანგარიშში დაფიქსირებული სამომავლო გეგმების შესრულების მონიტორინგი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ევალება სტრუქტურული ერთეულის/პირის კურატორ ვიცე-რექტორს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს გამოვლენილ საყურადღებო შემთხვევებზე რეაგირებებს ამ მიზნით შემუშავებული ფორმის გამოყენებით (იხ. შეფასების შედეგებზე რეაგირებების ანალიზის ფორმა, დანართი 19). ფორმა საშუალებას იძლევა შეჯამდეს ნებისმიერი გამოკითხვის შედეგად დაფიქსირებული საყურადღებო საკითხები, შესაბსამისი რეაგირებები, ასევე, ის საყურადღებო საკითხები, რომელზე რეაგირებაც არ ჩაითვალა მიზანშეწონილად, აღნიშნულის მიზეზები, ის საყურადღებო საკითხები, რომელზე რეაგირებაც დაგეგმილია სამომავლოდ, დაგეგმილი რეაგირებების ვადები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, სტრუქტურული ერთეულები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების კურატორ ვიცე-რექტორთან ერთად მონიტორინგს უწევს დაგეგმილი რეაგირებების შესრულებას ფორმაში მითითებული ვადების მიხედვით. ამდენად, ფორმა საშუალებას აძლევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაინახოს საერთო სურათი რეაგირებების შესახებ და მიადევნოს თვალყური რეაგირებების მიზნით სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას.

გამოკითხვა და კვლევა რეგულარულ ხასიათს ატარებს, რაც გამოკითხვის შედეგებზე რეაგირების ეფექტურობის შეფასების საშუალებას იძლევა.

კვლევის შედეგების გავრცელება და ინტეგრაცია

კვლევის შედეგების მიხედვით განხორციელებული რეაგირებების შესახებ ინფორაციის გაზიარება ხდება კვლევაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების გზით, ელექტრონული ფოსტისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით. აღნიშნული რეაგირებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხელს უწყობს რესპონდენტების კვლევებში მონაწილეობის მოტივაციისა და ხარისხის ამაღლებას, ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.

კვლევის შედეგების გამოყენება ხდება უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების მიზნებისთვის.

დანართები

დანართი #1. სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

დანართი #2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

დანართი #3. ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასების და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

დანართი #4. მობილობით გადმოსული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა;

დანართი #5. მობილობით გადასული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა;

დანართი #6. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარები;

დანართი #7. კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარები;

დანართი #8. დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარები;

დანართი #9. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარები;

დანართი #10. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების კითხვარი;

დანართი #11. სტუდენტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი;

დანართი #12. სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კითხვარი;

დანართი #13. სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი;

დანართი #14. სტუდენტისა და გამომცდელის მიერ საგამოცდო პროცესების შეფასების კითხვარები;

დანართი #15. საერთაშორისო აკადემიური მობილობით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

დანართი #16. საერთაშორისო აკადემიური მობილობით პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

დანართი #17. საერთაშორისო მობილობით ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

დანართი #18. შეფასების შედეგებზე სტრუქტურული ერთეულების რეაგირების ანგარიშის ფორმა;

დანართი #19. შეფასების შედეგებზე რეაგირებების ანალიზის ფორმა.